წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრი „ემპათია“ (RCT/EMPATHY) პრესს - რელიზი (21 აგვისტო, 2018 წ.)

ხვალ 22 აგვისტოს 13.00. სთ - ზე ცენტრი „ემპათია“- ში (კანდელაკის ქ. N23) გაიმართება პრესს - კონფერენციასაქმეზე: ტატუნაშვილი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ

ცენტრი „ემპათია“ - ს ექსპერტთა ჯგუფმა, 10 ექსპერტის მონაწილეობით 20/08/2018 - ში დაასრულა კომპლექსურ - კომისიური სასამართლო ექსპერტიზა არჩილ ტატუნაშვილის წამებისა და ძალადობრივი სიკვდილის ფაქტთან დაკავშირებით. დასკვნა მომზადებულია საერთაშორისო სტანდარტების „სტამბოლის პროტოკოლი“, „მინესოტას პროტოკოლი“, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სიკვდილის მიზეზების დადგენის საერთაშორისო გაიდლაინისა და დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის, მე - 10 - ე გადასინჯვის შესაბამისად.

აღნიშნული დასკვნით დადასტურებულია, რომ არჩილ ტატუნაშვილი ქ. ცხინვალში პატიმრობისას იქნა ნაწამები წამების სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით, რამაც გამოიწვია მისი გარდაცვალება.

დასკვნა წარმოადგენს მთავარ მტკიცებულებას სარჩელში ტატუნაშვილი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, რომელიც ცენტრი „ემპათია“ -ს მიერ იქნა მომზადებული და 22 აგვისტოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაიგზავნება; ევროკონვენციის მე - 2 მუხლის (სიცოცხლის უფლება),მე - 3 მუხლის (წამების აკრძალვა), ასევე მე - 5 (თავისუფლების უფლება), მე - 8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემა) და მე - 13 მუხლების (ეფექტურიზომა) დარღვევისათვის.

საქართველო, თბილისი 0160, კანდელაკისქ. N23
23 Kandelaki Str. Tbilisi 0160, Georgia. Phone: (+995 32) 238 10 15.
“Hot Line” : +995599 885468/28
Fax: (+995 32) 238 10 33 **VAT: 211322200**E-mail: centre@empathy.ge

საქართველო, თბილისი 0160, კანდელაკისქ. N23
23 Kandelaki Str. Tbilisi 0160, Georgia. Phone: (+995 32) 238 10 15.
"Hot Line" : +995599 885468/28
Fax: (+995 32) 238 10 33 **VAT: 211322200**E-mail: centre@empathy.ge